სსიპ თბილისის (ვაკე-საბურთალო) არქიტექტურის სამსახურის უფროსს

შპს „ბუნება პრინტი" (ს/ნ.: 205016258)
დირექტორის: ლელა აზნიაშვილის (პ/ნ.: 01010006080)

განცხადება

(თანხმობა)

გაცნობებთ, რომ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე **შპს „ბუნება პრინტ"**-ის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, მირიან მეფის ქ. N16 ს/კ 01.72.14.035.542 - დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს შპს „ჯეოპიცა"-ს (ს/კ 404467055).

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებთ, რომ ზემოაღნიშნულ ფართზე, შპს „ჯეოპიცა"-მ (ს/კ 404467055) თავისი შეხედულებისამებრ, ჩვენი წინასწარი თანხმობის გარეშე, შეასრულოს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, აგრეთვე, მოახდინოს ფასადის ცვლილება/მოპირკეთება (მათ შორის, მოაწყოს ღიობები, ვიტრაჟები, კიბეები), განათავსოს სარეკლამო აბრები, საჩრდილობლები, კონდიციონერები და სხვა საჭირო ინვენტარი, აგრეთვე, უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ნებართვების მიღება.

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებ, შპს „ჯეოპიცა"-მ ან/და შპს „ჯეოპიცა"-ს ქვემოიჯარემ ჩვენს თანასაკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნულ ქონებაზე განათავსოს ბანკომატი ან/და სწრაფი გადახდის აპარატი, ასევე, უზრუნველყოს ამ მიზნით უფლებამოსილი ორგანოებისაგან თანხმობების/ნებართვების მიღება.

შპს „ბუნება პრინტი" (ს/ნ.: 205016258)

დირექტორი:

ლელა აზნიაშვილი ლელა აზნიაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N251286240
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.09.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო უბერი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №30
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995) 599 77 28 77
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	38358150482725

მე, საქართველოს ნოტარიუსი ნინო უბერი, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №30, ვამოწმებ სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირის: ლელა აზნიაშვილის (დაბადებული: 04.10.1970წ. პირადი №01010006080. რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, ელიზბარ მინდელის ქ. N 13ბ, ბ. 206ბ) ხელის მოწერის ნამდვილობას მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე: განცხადება/თანხმობა. ხელმოწერა დოკუმენტზე შესრულებულია ხელმომწერის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით, მას შემდეგ რაც მას განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის შინაარსისა და მასში წარმოდგენილი ფაქტების დადასტურებას.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, გადახდილია სანოტარო მოქმედების 6.00 (ექვსი) ლარი, განცხადების პროექტის შედგენისთვის: 10 (ათი) ლარი, დღგ: 2.88 ლარი და სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 5 (ხუთი) ლარი - ჯამში 23.88 (ოცდასამი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო უბერი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18